განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2022 წლის 27 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2022 წლის 21 სექტემბერი

თბილისი
2022 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	40 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (ოქმის ნომერი 1189664, 10 დეკემბერი 2020)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავიდ გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც ირკვევა საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნიდან, რომელიც აკრედიტაციის საბჭოზე წარმოდგენილი იქნა 2020 წლის ნოემბერში (პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 1 ოქტომბერს), საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა 2020 წელს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლის ვადით (პროგრამა აკრედიტებულია 2020 წლის 10 დეკემბრის #1189677 გადაწყვეტილებით), 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის შედეგად 2022 წლის 25 მარტის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შემუშავდა 6 რეკომენდაცია, რომლთა შესრულებაც სავალდებულოა, ასევე გაიცა 8 რჩევა, რომელებიც სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. აღნიშნული რჩევების უმეტესობა ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა ამ დასკვნის პროექტშიც, რადგან დაწესებულებამ არ წარმოადგინა ინფორმაცია რჩევების გათვალისწინების ან შესრულების შესახებ. აკრედიტაციის საბჭომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად დამატებით განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2022 წლის 25 მარტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 26 ივლისის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო დასკვნის პროექტზე მუშაობა 2022 წლის 11 მარტის პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასების თაობაზე. 2022 წელს 27 მაისს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის გზით. მონიტორინგის ჯგუფი შედგება 2 ექსპერტისაგან, ივანნა მაჩიტიძე (თავმჯდომარე) - ა(ა)იპ მიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და დავით გეგეჭკორი (წევრი) - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ცენტრის მიერ გაზიარებული დოკუმენტაცია მოიცავს საბჭოს გადაწყვეტილებას, საბჭოს სხდომის ოქმს, 2020 წლის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნას, გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში 2022 წლის შედგენილ დასკვნას და დაწესებულებისგან მიღებულ მასალებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა. <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u>

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა. <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

4.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2. სწავლის შედეგები

- აუცილებელია სამიზნე ნიშნულების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Web of Science, Scopus) ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია საგნის თემატიკის დაგეგმვა ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების გენერირებაზე. ამ მიზნით საჭიროა დარგის მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიების გამოყენება, მათი კრიტიკული განხილვა; ორიგინალური ნაშრომების შესწავლა, რაც შეესაბამება სადოქტორო დონის მოთხოვნებს.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. აუცილებელია თითო ხელმძღვანელის შემთხვევაში დოქტორანტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

4.1. ადამიანური რესურსი

- აუცილებელია დისერტაციის თემის ხელმძღვანელობისთვის აკადემიური პერსონალის შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე სწავლობს აქტიური სტატუსის მქონე 122 დოქტორანტი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. პროგრამის მიზნები

- სასურველია, დაზუსტდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების მეთოდოლოგია, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კვლევითი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ზომები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ეფექტიან ჩართულობას პროგრამის განვითარებაში, ასევე მიზნების და შედეგების ფორმულირების დაზუსტებას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, შეიქმნას სადოქტორო კვლევის პროექტის შაბლონი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მისი სტრუქტურა და ფორმატი;
- იქიდან გამომდინარე, რომ პროგრმაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე, სასურველია, დაზუსტდეს ფორმულირება საზღვარგარეთ მიღებულ უცხოენოვან განათლებასთან დაკავშირებით და აქცენტი გაკეთდეს ინგლისურენოვან პროგრამებზე.

2.3. სასწავლო კურსი

- სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ დასახელება და დაერქვას „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში“. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგია, მას არ გააჩნია უნიკალური კვლევის მეთოდები, რომელიც არ გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებების სხვა ქვემიმართულებების მიერ.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა, უცხოურ უნივერისტეტებთან პარტნიორობით, ერთობლივი კლევითი თუ სასწავლო პროექტების განხორციელების ფარგლებში მოიპოვოს საერთაშორისო გრანტები და დაფინანსებები და ამ პროცესში აქტიურად ჩართოს დოქტორანტურის სტუდენტებსაც. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარებისა და გამოცდილების განვითარებასა და თავად საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობას.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის შეფასების თაობაზე რჩება უცვლელი, რადგან დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მოიცავს პასუხებს იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც გაცემული იქნა წინა მონიტორინგის შეფასების შედეგად (2022 წლის 25 მარტის).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ნოემბერი 2020 წლის) აკრედიტაციის პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტება. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამის მიზნების ფორმულირებაში შევიდა მცირე ცვლილებები, რაც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნასთან. როგორც აღინიშნება 2022 წლის ექსპერტთა ჯგუფის თებერვლის დასკვნაში, გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზის უზრუნველყოფა. ასეთი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ჩვენი აზრით, მისასალმებელია, რადგან აკრედიტაციის დასკვნაში ამ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მნიშვნელობა პროგრამის სისტემატიურ შეფასებაში. თუმცა ანგარიშიდან არ ჩანს, რა დროის მონაკვეთში ჩატარდა ეს გამოკითხვა. დოკუმენტის მიხედვით, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 10-მა რესპონდენტმა (პროგრამის კურსდამთავრებულთა 100% მაჩვენებელი), მათ შორის 70% დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, დანარჩენი 30% მუშაობს მომიჯნავე სპეციალობით. ამ მხრივ სასურველია, დაზუსტეს, რა პოზიციებზე და რომელ დაწესებულებებში არიან დასაქმებული რესპონდენტები, რამდენად აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის დროს შეძენილი კვლევითი და პრაქტიკული უნარები. 2022 წლის მაისის რეკომენდაციების შესახებ ანგარიშში ინფორმაცია ამ საკითხთან მიმართებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;
- 2022 წლის სტუ-ს რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- 2020 წლის აკრედიტაციის დასკვნა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაზუსტდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების მეთოდოლოგია, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კვლევითი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ზომები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ეფექტიან ჩართულობას პროგრამის განვითარებაში, ასევე მიზნების და შედეგების ფორმულირების დაზუსტებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2022 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსობრივ მხარეს შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერებას. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით აუცილებელია, შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან.

მისასალმებელია, რომ ამ კომპონენტში პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. პროგრამის სტრუქტურას (სავალდებულო კომპონენტს) დაემატა სასწავლო კურსი „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები და კონცეფციები“, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიერ სწავლის შედეგების განხორციელებას. როგორც აღნიშნულია დაწესებულების მიერ ცენტრისთვის მიწოდებულ დოკუმენტში, დაიხვეწა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსი. ამავე დროს, რეკომენდაციის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება სამიზნე ნიშნულების აუცილებელ შემუშავებას, შესრულებული არ არის. ხაზგასასმელია, რომ სამიზნე ნიშნულები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების უწვეტ შეფასებას, განსაზღრავს სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, რეკომენდაციის ეს ნაწილი დავტოვოთ, რათა პროგრამაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;
- კვლევის მეთოდების და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და კონცეფციების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის დანართები 1 და 2;
- 2022 წლის პროგრამის გეგმიური მონიტორინგის დასკვნა.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია სამიზნე ნიშნულების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აღნიშნულია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის დასკვნაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან მიმართებაში მისასალმებელია, რომ მის განახლებულ ვერსიაში გათვალისწინებულია 2020 წლის აკრედიტაციის დასკვნის როგორც რეკომენდაცია, რომელიც ხაზს უსვამს სადოქტორო ნაშრომის პროექტის წარდგენის აუცილებლობას, ასევე რჩევა, რის შედეგადაც დაზუსტდა სამაგისტრო პროგრამების მიმართულებები, რომლის კურსდამთავრებულები შეძლებენ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებას ყველა წინაპირობის დაკმაყოფილების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარების მსურველი პირი უნდა ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, სამართალში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ამავე დროს, რაც შეეხება სადოქტორო ნაშრომის პროექტს, მიზანშეწონილია პროექტის შაბლონის შექმნა, რომელიც მოიცავს კრიტერიუმების, სტრუქტურის და ფორმატის აღწერას, რაც მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს წამყვან უნივერისტეტებში. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე, სასურველია, დაზუსტდეს ფორმულირება საზღვარგარეთ მიღებულ უცხოენოვან განათლებასთან დაკავშირებით და აქცენტი გაკეთდეს ინგლისურენოვან პროგრამებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის დასკვნა;

○ ფაკულტერის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, შეიქმნას სადოქტორო კვლევის პროექტის შაბლონი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მისი სტრუქტურა და ფორმატი; ○ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრმაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე, სასურველია, დაზუსტდეს ფორმულირება საზღვარგარეთ მიღებულ უცხოენოვან განათლებასთან დაკავშირებით და აქცენტი გაკეთდეს ინგლისურენოვან პროგრამებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ირკვევა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებიდან გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს - მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი დოქტორანტს ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Orders/

მონიტორინგისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდაცია, რომელიც ეხება პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კურსების ერთმანეთთან ლოგიკურ ბმას, ძირითადად შესრულებულია. აღნიშნული დასტურდება სადოქტორო პროგრამის აღწერით, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის ფარგლებში კურსების გადანაწილება სემესტრების მიხედვით.

შესაბამისად, პირველი სემესტრი ითვალისწინებს სამ სავალდებულო სასწავლო კურსს (20 კრედიტი) და ერთ სასწავლო-არჩევით კურსს (10 კრედიტი); მეორე სემესტრი მოიცავს ერთი სასწავლო-სავალდებულო კურსს (10 კრედიტი). მეორე და შემდგომი სემესტრები ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რომელშიც შედის: კვლევის პროექტის/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი-1, კოლოკვიუმი -2, კოლოკვიუმი -3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი მონიტორინგის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მოიცავს ინფორმაციას „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და კონცეფციების“ სავალდებულო სასწავლო კურსის დამატების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ სწავლის შედეგების მიღწევადობას. ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გარე შემფასებლის ქალბატონი ნინო წიქვაძის მოსაზრებას, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და კონცეფციების სასწავლო კურსის შინაარსობრივი მხარის შეუსაბამობის თაობაზე დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნებთან. ამ საკითხთან მიმართებით დეტალური განხილვა ხელმისაწვდომია 2.3. კომპონენტის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რეკომენდაციას როგორც შესრულებულს, ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და კონცეფციების სასწავლო კურსის ფარგლებში საჭიროა შინაარსობრივი ცვლილებები.

რაც შეეხება აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციას სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Web of Science ან Scopus) ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნების განსაზღვრის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. სტუ-ს დოქტორანტურის დებულების მუხლი 12-ს მიხედვით საჭიროა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომების (სულ მცირე სამი სამეცნიერო

სტატია) წარდგენა, ამავე დროს საერთაშორისო ბაზებთან დაკავშირებით მოთხოვნა ნახსენები არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები; ○ პროგრამის მონიტორინგის დასკვნა 2022 წლის; ○ დაწესებულების პასუხი მონიტორნგის შემდგომ რეკომენდაციების შესრულების შესახებ.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Web of Science, Scopus) ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღნიშნულია 2.2. კომპონენტში, დაწესებულებამ გაითვალისწინა 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაცია ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსობრივ მხარეს შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერების შესახებ, რის შედეგადაც პროგრამის სავალდებულო კომპონენტს დაემატა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და კონცეფციების სასწავლო კურსი. მისასალმებელია რომ 2020 წლის პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ სილაბუსთან შედარებით აღნიშნულ საგანში დაიხვეწა შეფასების კომპონენტები, მაგალითად, დაემატა ანალიტიკური ესსე, ასევე ყოველკვირეული შემთხვევის ანალიზის შეფასება/განხილვა როგორც შუალედური შეფასების ნაწილი. ამავე დროს, აღნიშნული სილაბუსის შინაარსობრივი მხარე და გამოყენებული ლიტერატურა დარჩა ძირითადად უცვლელი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საჭიროა საგნის თემატიკის დაგეგმვა ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს „საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების გენერირებაზე". ამ მიზნით საჭიროა დარგის მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიების გამოყენება, მათი კრიტიკული განხილვა; ორიგინალური ნაშრომების შესწავლა, რაც შეესაბამება სადოქტორო დონის მოთხოვნებს.

როგორც აღნიშნულია 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის დასკვნაში, სამეცნიერო კომუნიკაციების სასწავლო კურსის თემატური ფოკუსის ცვლილებების შედეგად, ამ და კვლევის მეთოდების საერთაშორისო ურთიერთობებში სასწავლო კურსს შორის აღმოიფხვრა თემატური გადაფარვები, რაც დადებითი ცვლილებაა 2020 წლის აკრედიტაციის დასკვნასთან შედარებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაცია: „კვლევის მეთოდების საერთაშორისო ურთიერთობებში სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს დოქტორანტურის საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, შედეგების ფორმულირებაში მეტი აქცენტი საჭიროა კვლევის მეთოდების გამოყენებაზე, ახალი და ინოვაციური ცოდნის შექმნაზე". ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ იქიდან გამომდინარე, რომ დაზუსტდა სასწავლო კურსის თემატიკა, თითო საკითხის ფარგლებში სილაბუსში დეტალურად გაიწერა ლექციების შინაარსი, დაიხვეწა შეფასების კომპონენტები. პრეზენტაციის და ესსეს ნაცვლად შუალდეური შეფასების კომპონენტად განისაზღვარა case study-ს განხილვა. კვლევითი პროექტის შეფასება, ხოლო დასკვნით შეფასებად განისაზღვრა კვლევითი ნაშრომის მოდელირებული საჯარო დაცვა.

რჩევების მხრივ, უცვლელი რჩება რჩევა „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში" სასწავლო კურსის დასახელებასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგია, მას არ გააჩნია უნიკალური კვლევის მეთოდები, რომელიც არ გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებების სხვა ქვემიმართულებების მიერ. ხაზგასასმელია, რომ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის

სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, ფინალურ შეფასებად დაემატა კვლევის პროექტის განაცხადი, რაც ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევითი უნარების დახვეწას და კვლევითი კომპონენტის წარმატებულ შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულიუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის მონიტორინგის დასკვნა (2022 წლის)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საგნის თემატიკის დაგეგმვა ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების გენერირებაზე. ამ მიზნით საჭიროა დარგის მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიების გამოყენება, მათი კრიტიკული განხილვა; ორიგინალური ნაშრომების შესწავლა, რაც შეესაბამება სადოქტორო დონის მოთხოვნებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ დასახელება და დაერქვას „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში“. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგია, მას არ გააჩნია უნიკალური კვლევის მეთოდები, რომელიც არ გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებების სხვა ქვემიმართულებების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობით უზრუნველყოფს სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენეტებს: კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში, თანამედროვე სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა სოციალურ მეცნიერებებში, სწავლების თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, ხოლო არჩევითი კომპონენტის ფარგლებში - სამეცნიერო კვლევის პროექტი და თემატური სემინარი. პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში აღნიშნული კომპონენტების კრედიტების მოცულობა სავსებით საკმარისია კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავებისთვის. დოქტორანტს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ათვისებასა და სტატიების მომზადებაში დახმარებას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომლის ფუნქციებიც გაწერილია დოქტორანტურის დებულებით. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი, კომერციული და კერძო სამართლის კვლევითი ინსტიტუტი, კულტუროლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტი, ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული კვლევითი ცენტრები დოქტორანტებს ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის განხორციელებაში. ცენტრის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევით მუშაობაში ჩართული არიან დოქტორანტები. ფაკულტეტის ადმინისტრაციას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობისათვის ფინანსური რესურსები, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას. როგორც გამოვლინდა 2020 წლის აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად, უნივერსიტეტი და კერძოდ, ფაკულტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას. იმართება კონფერენციები; ფაკულტეტის მხრიდან ხელშეწყობილია სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა შიდა საგრანტო პროექტებში, მოქმედებს შიდა საფაკულტეტო საგრანტო პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც პედაგოგებს და სტუდენტებს საშუალება აქვთ, განახორციელონ მიმდინარე პრობლემურ საკითხებზე კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ პროგრამის მონიტორინგის დასკვნა (2022 წლის).
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა. მონიტორინგის განხორციელების მიზნით წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ის ასევე ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. 2020 წლის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. ○ პროგრამის მონიტორინგის დასკვნა 2022 წლის.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აღნიშნულია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ მონიტორინგის დასკვნაში, საგანმანათლებლო პროგრამაში ნათლად არის გაწერილი როგორც სასწავლო ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურები, შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენეტები, შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები. შეფასების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და მის შესახებ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღოთ ინფორმაცია როგორც საგნების სილაბუსებისა, პროფესორ-მასწავლებელების, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულ გვერდზე განთავსებული შეფასების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების მეშვეობით. პროგრამა ეყრდნობა შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებს. შუალედური შეფასება მოიცავს მრავალჯერად (მიმდინარე აქტივობები) და ერთჯერად (შუალედური გამოცდა) შეფასებებს. შეფასების ფორმებად გამოყენებულია ზეპირი/წერილობითი გამოკითხვა, ზეპირი/წერილობითი გამოცდა. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების ფორმები და მეთოდები შეესაბამება დადგენილ

სტანდარტებს. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება (40) არ აღემატება დადგენილ ზღვარს, შუალედური (მრავალჯერად მიმდინარე აქტივობები და ერთჯერადი შუალედური გამოცდა) შეფასების საერთო ქულა შეადგენს 60-ს. მათგან 20 ქულა არის შუალედური გამოცდის ერთჯერადი შეფასება, ხოლო 40 ქულა მიმდინარე აქტივობის მრავალჯერადი შეფასება).

თითოეული საგნის სილაბუსში მოცემულია შეფასების დეტალური აღწერა, სასწავლო აქტივობის, ქულებისა და შეფასების მექანიზმების მითითებით, რაც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად იყენებს ისეთ შეფასების საშუალებებს როგორიცაა: ტესტი, ესე, პრეზენტაცია, დისკუსია, ჯგუფში მუშაობა, პროექტის დაწერა, დავალების შესრულება. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ასევე 100 ქულიანი შეფასების სისტემით ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. საერთო ჯამში, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების რელევანტურ ფორმებს, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ აღნიშნული კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტი იღებს უკუკავშირის სწავლის შედეეგბზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე შედეგების გაუმჯობესების შესახებ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა დაამყაროს უკუკავშირი კურსის პროფესორთან და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი ნაკლოვანი მხარეები. აღნიშნულ პროცესში სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს მობილური აპლიკაციით GTU Table, რომლის მეშვეობით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შეფასების შესახებ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რასაც სტუდენტები საჭირეობისამებრ იყენებენ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციის მიხედვით ,,სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა“.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენეტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. დასაცავად წარმოდგენილი ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს იცავს სადისერტაციო კოლეგიის წინაშე. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის. დოქტორანტურის დებულების მიხედვით იგი შედგება სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან; მათ შორის 30% არ უნდა იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე საბჭოს თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, საბჭოს წევრთა

შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული და დაიწერება საბოლოო შეფასება. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისიწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას უშუალოდ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. თუმცა დოქტორანტს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში უწევს პროსპექტუსის, კოლოქვიუმი 1, კოლოქვიუმი 2 და კოლოქვიუმი 3 მომზადება. დისერტაციის დასაწავად წარდგენის წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაწვა, რის შესახებაც დოქტორანტი კვლევის არსებულ ეტაპებზე მიღებულ შედეგებს წარუდგენს აკადემიურ დეპარტამენტს და შემდეგ კომისიას. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. პროსპექტუსის და თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს კვლევას. 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის შედეგად გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია მოითხოვს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის/რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების პროცედურის გადახედვას ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდაცია შესრულდა. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვიდაც სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოიყოფა ორი რეცენზენტი. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დაკვნის შემთხვევაში გამოიყოფა მესამე რეცენზენტი, რომლის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აკრედიტაციის დასკვნა (ნოემბერი 2020 წელი); ○ სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები; ○ მონიტორინგის დასკვნა (2022 წლის)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც დადგინდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სტუდენტები მოცემული ახალი პროგრამის ფარგლებში მიიღებენ ყველა იმ

საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, კვლევითი სამუშაოს განსახორციელებლად და სადოქტორო ნაშრომის მოსამზადებლად. სტუდენტს, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიეწოდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია, მაგალითად, მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამავდროულად, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედებს პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი და დიპლომატიური ლაბორატორიის ცენტრი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას კვლევით პროცესებში. ამოქმედებულია ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით სწავლების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტს შორის უწყვეტ უკუკავშირს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება კვალიფიციური კადრები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთან ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად კვლევითი საქმიანობის წარმოებას. სტუ-ს მიერ შემუშავებულია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, სტუ-ში აკადემიური

დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია. გათვალისწინებულია დოქტორანტის და ხელმძღვანელის რეგულარული შეხვედრები.
ამასთანავე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საკვლევი თემიდან გამომდინარე აიყვანოს თანახელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარული კონსულტაციების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტის კონსულტირებას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით როგორიცაა: ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება, კვლევის დიზაინის შერჩევა, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის პროცესებთან დაკავშირებით. მოცემული საკონსულტაციო შეხვედრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დოქტორანტის მიერ კვლევითი პროცესების სწორი მიმართულებით წარმართვის კუთხით.
რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამი ბრძანების პროექტი, პირველში საუბარია დოქტორანტების თემების სათაურების ცვლილების შესახებ, მეორეში - ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების შესახებ, მესამეში - ხელმძღვანელების შესახებ. გარდა ამისა, წარმოდგენილია დოქტორანტების თემების ცვლილებების ბრძანება, მაშინ როდესაც რეკომენდაციაში საუბარი არ იყო ამის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 122 სტუდენტი. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა დისერტაციის თემების ცვლილების საჭიროების შესახებ დოქტორანტების უმეტესობის შემთხვევაში, რომლებიც არიან მესამე კურსელები. ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი აქვს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ახალი სადისერტაციო ნაშრომების დაცვა, მაგალითად, „გლობალიზაცია და ეროვნული იდეოლოგია“ – „გლობალიზაცია და მცირე ერების იდენტობის პრობლემა“; „ქართული სამხედრო დიპლომატია - სამხედრო დიპლომატია და მისი განხორციელების მექანიზმები საქართველოსა და თურქეთის მაგალითზე“ და ა.შ. ასევე, პრობლემურია ერთ ხელმძღვანელზე დოქტორანტების რაოდენობა, ზოგ შემთხვევაში ეს 8 - 16 დოქტორანტია. შესაბამისად, საჭიროა აკადემიური პერსონალის ისეთი რაოდენობით უზრუნველყოფა, რომელიც მისცემს სრულყოფილი ხელმძღვანელობის საშუალებას თითოეული დოქტორანტის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა რეკომენდაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევის გამოცდილებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. აუცილებელია თითო ხელმძღვანელის შემთხვევაში დოქტორანტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის განსახორციელებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უსდ-ს მიერ გაზიარებული იქნა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის დოკუმენტი, სადაც სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პერსონალის რაოდენობა გაზრდილია და შეადგენს ჯამურად 39 პერსონალს, როგორც აკადემიურ პერსონალს, მათ შორის 7 სოციალური მეცნიერების დოქტორი, 5 პოლიტიკის/პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასევე მოწვეულ ლექტორებს. დადებითი გარემოებაა, რომ ყველა აკადემიური პერსონალი დოქტორის ხარისხის მქონე პირები არიან. ამავე დროს, როგორც აღნიშნულია 3.2. კომპონენტში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით აუცილებელია დისერტაციის თემის ხელმძღვანელობისთვის აკადემიური პერსონალის შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე სწავლობს აქტიური სტატუსის მქონე 122 დოქტორანტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიცე-რექტორის ბრძანება დოქტორანტის სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირების, დამტკიცების, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის და დამტკიცების შესახებ (26.04.2022); ○ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის, დამტკიცების, სადისერტაციო თემის კორექტირების და დამტკიცების შესახებ (5.04.2022); ○ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის შედეგების შეფასების დასკვნა.
რეკომენდაციები: ○ აუცილებელია დისერტაციის თემის ხელმძღვანელობისთვის აკადემიური პერსონალის შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე სწავლობს აქტიური სტატუსის მქონე 122 დოქტორანტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაში ჩართული დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალის რაოდენობის ზრდის გარდა, დადებითი ტენდენცია გამოვლინდა სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. პერსონალის პირადი საქმეებით მტკიცდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად იღებს მონაწილოებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებს პუბლიკაციებს ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში და ზოგი მათგანი უცხოურ გამოცემებში. ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის მონიტორინგის დასკვნაში ასევე ნახსენებია რჩევა სადოქტორო პროგრამის განხორცილებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, უცხოურ უნივერისტეტებთან პარტნიორობით, ერთობლივი კვლევითი თუ სასწავლო პროექტების განხორციელების ფარგლებში საერთაშორისო გრანტებსა და დაფინანსების მოპოვების და ამ პროცესში დოქტორანტურის სტუდენტების აქტიურად ჩართვის მნიშვნელობის

თაობაზე. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარებისა და გამოცდილების განვითარებასა, ასევე თავად საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობას. აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ მტკიცებულებები არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, მისი გათვალისწინების ან შეფასების შესრულების ხარისხს ვერ დავადგენთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის პროგრამის მონიტორინგის დასკვნა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა, უცხოურ უნივერისტეტებთან პარტნიორობით, ერთობლივი კლევითი თუ სასწავლო პროექტების განხორციელების ფარგლებში მოიპოვოს საერთაშორისო გრანტები და დაფინანსებები და ამ პროცესში აქტიურად ჩართოს დოქტორანტურის სტუდენტებსაც. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარებისა და გამოცდილების განვითარებასა და თავად საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აღინიშნება 2022 წლის მონიტორინგის დასკვნაში, 2020 წელს პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისათვის საჭიროა დაინტერესებული პირების მიერ შემუშავებული საინიციატივო წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლების ენას, პროგრამის მიზანსა და უნივერსიტეტის მისიასთან მის კავშირს, და განიხილება შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საინიციატივო წინადადება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერი წარედგინება ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. თანხმობის შემთხვევაში, დეკანი უზრუნველყოფს საკითხის გატანას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისას შეიძლება გამოვლინდეს სხვა აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების თანამონაწილეობის აუცილებლობა. ფაკულტეტის საბჭო, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, აყალიბებს პროგრამის პროექტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფს (შემდგომში - ჯგუფი) და ნიშნავს ჯგუფის ლიდერს – პროგრამის დროებით ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს. უნივერსიტეტის მიერ წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების შესახებ, რაც დადასტურდა წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც. საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სადოქტორო პროგრამის წარდგენის მიზნით თვითშეფასების ჯგუფი მუშაობდა 2 თვის განმავლობაში. ახალშექმნილი პროგრამის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის საფუძველია ძველი პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით შექმნილი თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაა (1.5 წლის განმავლობაში). შემდგომ, მოხდა თვითშეფასების ჯგუფის განახლება, ამავე დროს პროგრამის ხელმძღვანელი დარჩა უცვლელი. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღსანიშნავია განმავითარებელ და თვითშეფასების ჯგუფს შორის კოორდინირების პროცესი, რომლის ფარგლებში შესაბამისი რჩევები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის საბოლოო ვარიანტის შედგენის დროს. მისასალმებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პროგრამის ხარისხისთვის პასუხისმგებლობლობის დელეგირება ფაკულტეტის დონეზე, რაც პერსპექტივაში მიზნად ისახავს სისტემატიური მონიტორინგის მექანიზმის უფრო ეფექტურ დანერგვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ბრძანებები/ოქმები პროგრამის განახლების შესახებ; ○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის დასკვნა (2022 წელი)
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დასკვნაში გაწერილი რეკომენდაცია 5.2 სტანდარტთან მიმართებაში, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო ურთიერობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების ეფექტური მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის, ასევე საბჭოს რეკომენდაცია და მონიტორინგის დოკუმენტაციაში წარმოადგინა რომის საპიენცას უნივერსიტეტის მკვლევარის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის ნენო გაბელიას შეფასება. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის დასკვნის ფარგლებში რეკომენდებულია, გარე შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს მხარდაჭერის წერილის ხასიათს. პროგრამის შეფასების მიზნით უმჯობესია გარე შემფასებლის მხრიდან პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეული და დეტალური შეფასების და რეკომენდაციების სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხთან, დაცვის პროცედურებთან მიმართებით,

დოქტორანტებისათვის შექმნილი შესაძლებლობების მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით წარმოდგენა. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, რაც დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო პროგრამის გარე შეფასების წერილით. გარე შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელთა დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. მაგალითად, თანამედროვე სწავლების მეთოდები შეიცვალა სწავლების თანამედროვე მეთოდებით, ასევე დოკუმენტი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების შესახებ, რომელიც დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარე შეფასების დოკუმენტი, 23.05.2022. (შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით აღწერილია 17 აპრილის 2018 წლის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტში.

ნათლადაა წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები, როგორიცაა მომხმარებელზე ორიენტაცია, ხელმძღვანელობის ლიდერობა, თანამშრომელთა ჩართულობა, მუდმივი გაუმჯობესება, გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ.

შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. კითხვარის საბოლოო ვერსია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოკითხვა ტარდება პერიოდულად ონლაინ რეჟიმში. ამასთან ერთად, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების მაჩვენებლები. გარდა ამისა, შემუშავებულია კითხვარები დამსაქმებლებისათვის. ამ კითხვარებით, ერთი მხრივ, იძლევა შესაძლებლობა დამსაქმებლებმა შეაფასონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და, მეორე მხრივ, - დამსაქმებელს შეაფასებინონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დამტკიცდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში, ასევე მოწმდება წინა აკრედიტაციის დასკვნის მიერ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აღინიშნა მონაწილეობის მიღება პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების განახლების/შემუშავების პროცესში. ფაკულტეტის შესაბამისი ერთეულისგან საჭიროა შეტყობინება მინიმუმ 2 დღით ადრე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების შედეგები (კურსდამათვრებულები, ხელმძღვანელის შეფასება სტუდენტების მიერ);
- პროგრამის განახლების შესაბამისი ოქმები;

○ 2020 წლის პროგრამის აკრედიტაციის ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ივანნა მაჩიტიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: დავით გეგეჭკორი